

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია	6	
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები		6-13
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა		
შენიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13-17	

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)		2023	2024
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	6,245,406	6,279,179
საინვესტიციო ქონება	4	167,000	167,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,412,406	6,446,179
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	-	5,196
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	408,575	252,200
ფული და ფულის ექვივალენტები	7	34,569	137,502
სულ მიმდინარე აქტივები		443,144	394,898
სულ აქტივები		6,855,550	6,841,077
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		11,554,885	11,554,885
გაუნაწილებელი მოგება		(5,071,408)	(4,934,637)
სულ საკუთარი კაპიტალი		6,483,477	6,620,248
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	372,073	220,829
სულ მიმდინარე ვალდებულებები		372,073	220,829
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,855,550	6,841,077

დირექტორი:

გ. ბერიძე



მთავარი ბუღალტერი:

ბ. აბოშვილი


შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
 მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

	2023	2024
შემოსავალი	261,883	430,224
სხვა შემოსავლები	-	-
რეალ.საქონლის/მომს. თვითღ-ბა	(5,864)	(1,175)
შრომის ანაზღაურება	(141,927)	(162,143)
ცვეთა და ამორტიზაცია	(47,676)	(46,935)
სხვა საერთო ხარჯი	(29,670)	(27,000)
კომუნალური გადასახადების ხარჯი	(60,829)	((53,987)
კომუნიკაციის ხარჯი	(2,814)	(3,518)
საგადასახადო ხარჯი	(11,063)	(12,231)
მომსახურების ხარჯები	-	-
სოციალური დანარიცხები	(1,214)	(1,330)
რემონტის ხარჯი	-	-
საოპერაციო ხარჯები/შემოსავლები	(39,174)	121,905
არასაოპ. ხარჯები/შემოსავლები წმინდა	132,837	14,866
მოგება დაბეგვრამდე	93,663	136,771
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წმინდა მოგება	93,663	136,771

დირექტორი: 



მთავარი ბუღალტერი:



შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2024	11,554,885	(5,071,408)	6,483,477
წლის მთლიანი სრული მოგება		136,771	136,771
31 დეკემბერი 2024	11,554,885	(4,934,637)	6,620,248

დირექტორი:

ე. ჯიქია



მთავარი ბუღალტერი :

ბ. ს. შიშკაძე

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 245629146. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.ბათუმი ზღვისპირა პარკი, ფაქტიური მისამართი ქ. ბათუმი ზღვისპირა პარკი. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2009 წლის 11 ნოემბრიდან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტული ობიექტების საქმიანობები, საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები, სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე.

კომპანიის 99,9%-იანი წილის მფლობელია შოთა აფხაზავა, N14090979, ყაზახეთი და 0,1% -იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თიჯიემ 245627120, კომპანიის დირექტორია, მერაბ აფხაზავა, 61001088258, რუსეთი, საქართველო. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 11 554 885 ლარს. 2024 წლის 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 12 ადამიანი, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრისთვის 12 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2024 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2024 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	2,9306

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და ასხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებისზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

(ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან

(ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

საწარმომ საინვესტიციო ქონება თავდაპირველად უნდა აღიაროს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანა-ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

ბ) შემდგომი შეფასება

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმე-დოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია საინვესტიციო ქონებას აფასებს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-12

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

3. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2024 წლის 1 იანვარი	5,706,380	651,059	1,843	4,370	364,465	6,728,117
შემენა-რემონტი		42,063	-	-	38,645	80,708
გადაფასება-გასვლა						
2024 წლის 31 დეკემბერი	5,706,380	693,122	1,843	4,370	403,110	6,808,825
დაგროვილი ცვეთა						
2024 წლის 1 იანვარი	-	(248,138)	(1,572)	(4,080)	(228,921)	(482,711)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(34,656)	(55)	(131)	(12,093)	(46,935)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(282,794)	(1,627)	(4,211)	(241,014)	(529,646)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
2024 წლის 1 იანვარი	5,706,380	402,921	271	290	135,544	6,245,406
2024 წლის 31 დეკემბერი	5,706,380	410,328	216	159	162,096	6,279,179

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

4. საინვესტიციო ქონება

მიწა და
 შენობა
 ნაგებობები

2024 წლის 1 იანვარი	167,000
შემდენა	-
2024 წლის 31 დეკემბერი	167,000

5. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024
ნედლეული და მასალები	-	5,196
სულ მარაგები	-	5,196

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024
გაცემული სესხები	49,254	37,754
სხვა მოთხოვნები	249,776	254,899
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	373,471	252,200
წინასწარ გაწეული ხარჯები	10,104	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(274,030)	(292,653)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	408,575	252,200

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	34,531	134,076
ნაღდი ფული სალაროში	38	3,426
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	34,569	137,502

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	371,411	220,829
სხვა ვალდებულებები	662	-
გადასახდელი ხელფასები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	372,073	220,829

9. შემოსავალი

	2023	2024
შემოსავალი იჯარიდან	215,375	334,461
შემოსავალი მომსახურებიდან	46,508	95,763
სულ შემოსავალი	261,883	430,224

შპს „ბათუმის ჩოგბურთის კლუბი“
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

10. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
2024 წლის დასაწყისში	367,479	4,594
სესხები		-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-
2024 წლის ბოლოს	200,000	20,829

ფინანსური აქტივები

ლარი	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
2024 წლის დასაწყისში	367,479	75,665
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		137,502
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		57,396
2024 წლის ბოლოს	200,000	194,898